



MES 2 23 0000713731



19/06/2023

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 05. 06. 2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 15:35 სთ

სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup> მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

4. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
5. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
6. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
7. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
8. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
10. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
11. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
12. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
13. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
14. **თამარ სირაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
15. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თინათინ ბაჯელიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	კობა გელაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი	I
2	ბაია ჯაფარიძე		ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი	I
3	მარი სილაგაძე		ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი.	I
4	ზურაბ მხეიძე	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
5	თინათინ ფანცულაია		ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
6	დავით ბოსტოღანაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II

7	ეკა ლუაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	II
8	დავით მახვილაძე,	სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
9	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	III
10	ლენა შატაკიშვილი		სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი	III
11	ნუგზარ წერეთელი		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	III
12	მაია მშვილდაძე		ტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III
13	ზურაბ გელიაშვილი,		ქიმიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	ირინე ბერძენიშვილი		„ქიმიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	III
15	სიმონ ნემსაძე		ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	III

16	გიორგი არზიანი	პროფესორი	III
17	მამუკა მაისურაძე	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
18	მაია ცინცაძე	„ქიმიის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
19	მანანა გოგბერაშვილი	სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.	III

**აკრედიტაციის ექსპერტები**

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანა დიხამინჯია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკატერინე ფიცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II

<p>ავთანდილ თავხელიძე</p> <p>4</p>	<p>(ჩაერთო „ზუმით“)</p>	<p>III</p>
--	-------------------------	------------

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- დიახ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა იშუამდგომლა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

აკრედიტაციის საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**1.პირველი საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა).

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება Computer Science
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2017 წლის 31 აგვისტო, # 61
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 53 ა.



**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტი, მაქსიმ იავიჩი მიესალმა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო პროგრამის ჩარჩოსთან შესაბამისობის საკითხი. გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. ერთე-ერთი რეკომენდაცია ეხება მიზნების ჩამოყალიბების საკითხს, ექსპერტთა აზრით დაწესებულებამ პროგრამის მიზნები უნდა ჩამოაყალიბოს უფრო მკაფიოდ და მოკლედ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1.1, 1.2, 1.3 და 1.5 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციებს, კერძოდ პირველს, მეორეს, მეხუთეს და მეცხრე რეკომენდაციას უნივერსიტეტი სრულად დაეთანხმა. თუმცა, მეშვიდე რეკომენდაციას, რომელიც ეხება კალკულუსის წინაპირობას დაწესებულება არ იზიარებს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა, კალკულუსის მე-3 სემესტრში განსაზღვრა დააკავშირა ინგლისური ენის დონესთან. ამიტომ შესთავაზეს გზა თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი კალკულუსის პირველ სემესტრში გადატანა. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით კალკულუსი მესამე სემესტრში განსაზღვრა არ არის ინგლისურის A2 დონით განპირობებული. პროგრამაში არის 5 მათემატიკური საგანი, ჯამში 30 კრედიტი, რაც შეესაბამება ABET-ის რეკომენდაციებს. კალკულუსში შედის მრავალგანზომილებიანი მასალა, რომლის მაღალ დონეზე ათვისებას სჭირდება წინაპირობად ალგებრის კურსი, რომელიც მეორე სემესტრშია განსაზღვრული. მესამე სემესტრში კალკულუსის კურსის ჩასმა არ არის გვიან, რადგან კალკულუსზე დაფუძნებული კურსები ერთი სემესტრის შემდეგ იწყება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება არ იზიარებს ამ რეკომენდაციას. თუმცა, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ კალკულუსის წინაპირობად პროგრამაში ჩაიწეროს ალგებრის კურსი. მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც დისკრეტული ალბათობის და სტატისტიკის წინაპირობებს ეხება, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიები გაძლიერებულად ისწავლება. დისკრეტული ალბათობა და სხვა მათემატიკური საგნები იკითხება კომპიუტერული თვალსაჩინოებების გამოყენებით.

უპირატესობას ანიჭებენ, რომ სტუდენტმა შეძლოს დიაგრამების, ჩარტების აგება, ცხრილებთან მუშაობა, მხოლოდ აღნიშნულის დასწავლის შემდეგ დაძლეოს დისკრეტული ალბათობის კურსს. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე. მისი თქმით, სტუდენტი სწავლის შედეგზე ვერ გავა თუ ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე არ ექნება. პროგრამაში არ იყო ეს აღნიშნული, თუმცა პროგრამაში არის რამდენიმე ინგლისურენოვანი კურსი. მან მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება არ იღებს 200 სტუდენტს წელიწადში, ეს არის ჯამური რაოდენობა ოთხი კურსისა.

#### **14:28 საათზე სხდომას შემოუერთდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა დიხამინჯია.**

#### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მოკლედ წარმოედგინა პროგრამასთან დაკავშირებით შეფასება.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ძირითადი შენიშვნები ეხებოდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ნათლად ჩამოყალიბებას. ასევე, რამდენიმე კურსის წინაპირობის გასწორების საკითხს. ექსპერტის თქმით, ინგლისური ენის მოთხოვნა გაუგრებადა ჩასმული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შეფასებაში, ასევე მისი წინაპირობად განსაზღვრის საკითხიც ბუნდოვანია. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნეეს აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდას. ასევე, გამოყო, რომ მნიშვნელოვანია შემცირდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვა, ერთი პროფესორი ვერ შეძლებს სრულფასოვნად გაუძღვეს 4 ან 5 საგანს.

#### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა კითხვა დაუსვა ექსპერტს. მისი თქმით, დასკვნაში იკითხება შემდეგი: „პროგრამა ეყრდნობა ACM კურიკულუმის სტანდარტს“, თუმცა ეს სტანდარტი არ არის საკმარისი პროგრამის სრულყოფისთვის. აქედან გამომდინარე მას აინტერესებდა, გარდა იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც უკვე მოცემულია დასკვნაში, სჭირდება თუ არა პროგრამას სხვა ტიპის/სახის დახვეწა.

ექსპერტმა ნანა დიხამინჯიამ განმარტა, რომ ACM კურიკულუმის სტანდარტი არის ფართო სტანდარტი. განსახილველ შემთხვევაში, დაწესებულება განმარტავდა, რომ რადგან პროგრამის შემუშავების პროცესში დაეყრდნენ ACM სტანდარტს, ეს საკმარისი იყო. თუმცა, აღნიშნულის გარდა პროგრამის შემუშავების პროცესში უნდა გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებიც. დაწესებულებამ უნდა დახვეწოს სწავლის მიზნები და შედეგები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტს. კერძოდ,, რას გულისხმობდა შემდეგი ჩანაწერი დასკვნაში: „სახელწოდება დაფარულია პროგრამის მიზნებში“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა დიხამინჯიამ განმარტა, რომ ბოლო წლებში საგანმანათლებლო დაწესებულებები მიეჩვივნენ პროგრამის მიზნებში ზოგადი ტექსტის ჩაწერას, რომელიც ნებისმიერი პროგრამის შემთხვევაში შეიძლება იდენტური იყოს. მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი მიზანი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხისა და საფუძვლიანი ცოდნის მიწოდება“, აღნიშნული არის ძალიან ზოგადი. პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტმა შეიტყოს რაზეა ორიენტირებული პროგრამა. პროგრამის მიზნებში კონკრეტულად უნდა ჩანდეს ის ძირითადი ასპექტები, რასაც ითხოვს სტანდარტი და არა ზოგადი ჩანაწერები პროგრამის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ექსპერტთა ჯგუფს მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით, კერძოდ, 1.4 ქვესტანდარტში გაცემულია რეკომენდაცია

კალკულუსის წინაპირობის შესახებ. უნივერსიტეტი კალკულუსის წინაპირობად განსაზღვრავს ალგებრას. ექსპერტთა მოსაზრებით მიზანშეწონილია თუ არა აღნიშნული?

ექსპერტმა, მაქსიმ იავიჩმა განმარტა, რომ კალკულუსის წინაპირობად ალგებრის განსაზღვრა მიზანშეწონილია.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგიონიძე-ჯიშკარიანმა დისკრეტული ალბათობის და სტატისტიკის წინაპირობასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რომელ სასწავლო კურსს განსაზღვრავს დაწესებულება დისკრეტული ალბათობის და სტატისტიკის წინაპირობად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინაპირობად უნივერსიტეტი განსაზღვრავს თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიებს, კერძოდ Microsoft-ის და Google-ის პროდუქტებს.

ექსპერტთა მოსაზრებით ორივე საგნის წინაპირობად ალგებრის განსაზღვრა უფრო მისაღები იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგიონიძე - ჯიშკარიანმა დაწესებულებას მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით, კერძოდ, რას გეგმავს დაწესებულება ადამიანური რესურსების მიმართულებით.

დაწესებულის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსის შედეგად მიღებულია ორი აფილირებული თანამშრომელი და ზაფხულში იგეგმება კიდევ ორის მიღება. ასევე, რეკომენდაცია დატვირთვის შემცირებაზე ეხებოდა ორ პროფესორს, რომელთაგან ერთ პროფესორს განესაზღვრა მხოლოდ ერთი საგანი, ხოლო მეორე პროფესორმა დატოვა სხვა უნივერსიტეტი და მხოლოდ ამ უნივერსიტეტში განაგრძობს მუშაობას, რაც ამცირებს მის დატვირთვას.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 14:47**

**დასრულების დრო: 14:57**

## **სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებისთვის დამატებით 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

**მომხრე - 15**

**წინააღმდეგი - 0**

## **გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაევალოს "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გადამოწმებაც ცენტრის მიერ მოხდება მონიტორინგის გზით.

## შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამას ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებშიც ასახული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. დაკორექტირდეს პროგრამის პირველი ორი სწავლის შედეგი იმ მიზნით, რომ ცხადად ჩანდეს, სტუდენტს შეუძლია მხოლოდ განსაზღვროს საჭირო მათემატიკური ფუნდამენტი, მეთოდები და მონაცემთა სტრუქტურები, თუ ასევე შეუძლია მათი აღწერა და გამოყენება სხვადასხვა დონეზე.
2. ინგლისური ენის დასკვნითი გამოცდა ამოღებულ იქნას იმ სწავლის შედეგების შეფასებიდან, რომლებიც არ უკავშირდება კონკრეტულად ინგლისური ენის გამოყენებას, ანუ დარჩეს მხოლოდ მეხუთე სწავლის შედეგში.
3. მეხუთე სწავლის შედეგის სრულყოფილად შესაფასებლად, „თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიების“ შუალედური და დასკვნითი გამოცდები ჩანაცვლდეს უფრო შესაფერისი კომპონენტებით, რომლითაც შემოწმდება, თუ როგორ „აანალიზებს ICTs-ის პრობლემებსა და პრინციპებს მიღებული ცოდნის საფუძველზე და წარადგენს შესაბამის დოკუმენტს“ სტუდენტი.
4. მეოთხე სწავლის შედეგის შეფასებისთვის „მონაცემთა ბაზების“ რეფერატის ნაცვლად შეირჩეს ისეთი კურსის კომპონენტი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგში მითითებულ საკითხებს.
5. ინგლისური ენის დასკვნითი გამოცდა არ იქნეს გამოყენებული პასუხისმგებლიანობისა და ავტონომიურობის კომპონენტის შეფასებისთვის.
6. ჩასწორდეს კალკულუსის წინაპირობა;
7. ჩასწორდეს დისკრეტული ალბათობისა და სტატისტიკის წინაპირობა;
8. ციფრული მოწყობილობების ელექტრონიკის სილაბუსში ჩანაცვლდეს დამატებითი რუსულენოვანი ლიტერატურა.
9. შეუმცირდეს თითოეულ აფილირებულ პერსონალს საგნების რაოდენობა 4-მდე, ხოლო მოწვეულ ლექტორს - 3-მდე.
10. გაიზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. უკეთ გამოიკვეთოს, რა წვლილს შეიტანს კურსდამთავრებული სფეროს განვითარებაში;
2. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებდეს ადგილობრივ შრომის ბაზარსაც.
3. სასურველია, კურსში „ღრმა დასწავლა კომპიუტერული ხედვისთვის“ შემცირდეს ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა.
4. შესწორდეს ტექნიკური შეცდომები პროგრამაში, კერძოდ ა(ა)იპ საქართველოს უნივერსიტეტის ნაცვლად ჩიწეროს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
5. ვებ გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ ოდენობასთან.
6. სპეციალობის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი.

**2. მეორე საკითხი:** შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 20 იანვრის N045171 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	

8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	1. ირინა ენუქიძის ქ. №6; ქ. თბილისი, 0158, საქართველო. 2. შატილის ქ. №4; ქ. თბილისი, 0178, საქართველო;
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

## **თვითაცილება განაცხადა მარინა მაისრუაძემ**

### **აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა, ეკატერინე ფირცხალავამ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულება განხორციელდა იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რომლებიც უნივერსიტეტს ჰქონდა. მისი თქმით, დაწესებულებამ გაითვალისწინა შვიდი რეკომენდაცია, ხოლო ორი მეტწილად გაითვალისწინა. კერძოდ, მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ადამიანურ რესურსებს მეტწილად გათვალისწინებული. ექსპერტის განმარტებით, ძირითად საგნებს უნდა ასწავლიდნენ ადგილობრივი აფილირებული პროფესორები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი ხარისხი ფსიქოლოგიაში. მე-3 რეკომენდაცია დამატებული იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ. ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ ცალკეულ საგნებში მოცემულია ჯგუფური მუშაობის და წერიტი დავალებების სამუშაო საათები.

## **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბოსტოლანაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე მიმდინარეობს სახელმძღვანელოების ცვლილება. მისი თქმით, ერთი სახელმძღვანელოს დამატების საკითხი არ უნდა წყვეტდეს სტანდარტის მეტწილად შესაბამისობას. აფილირების საკითხი აკრედიტაციის საბჭოზე არ ყოფილა დღის წესრიგში. საბჭომ იმსჯელა მხოლოდ არსებული პერსონალის იმგვარი კონფიგურაციით წარმოდგენაზე პროგრამაში, რომ სავალდებულო საგნები განხორციელდებინა დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალს. დაწესებულების მიერ შესრულებულია აღნიშნული რეკომენდაცია. გარდა ამისა, დაემატა სამი ახალი აფილირებული პერსონალი, რომლებსაც აქვთ დოქტორის ხარისხი. პროგრამაზე 30 სტუდენტია, რომელსაც ასწავლის 25 აკადემიური პერსონალი. დარგობრივი მიმართულებით 17 აკადემიური პერსონალი. აფილირებული პერსონალი არის 19, ხოლო ამ ცხრამეტიდან 9 არის ფსიქოლოგიის მიმართულებით.

## **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა კითხვა დაუსვა ექსპერტს მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2.3 ქვესტანდარტში საუბარია ცალკეულ კურსებში სწავლა სწავლების მეთოდების დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერაზე. დაწესებულების აზრით, რეკომენდაციის შინაარსში არ არის დაზუსტებული რომელი სასწავლო კურსები იგულისხმება. წინა საბჭოს მიერ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი იყო კონკრეტული კურსები კონკრეტული დასახელებებით. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია ასეთი გაურკვევლობა.

ექსპერტმა, ეკატერინე ფირცხალავამ განმარტა, რომ სწავლა სწავლების მეთოდების გამოყენებით ყველა სილაბუსი აღწერილია. გარდა ამისა, ყველა ის სილაბუსი, რომელთა გადახედვა ექსპერტების მიერ იყო რეკომენდებული, დაწესებულებამ გაითვალისწინა. შესაბამისად, რეკომენდაცია სწავლა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 15:13**

**დასრულების დრო: 15:17**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

**მომხრე - 14**

**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>ბ</sup> მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

**3.მესამე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-



3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	29.03.2022 № 325177
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე არაკლასიფიცირებული 0719
	სწავლების ენა	ქართული

12		
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ და მარინე მაისურაძემ**

**აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა, ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო 9 რეკომენდაცია, რომლებიც ეხებოდა სილაბუსებს, საგნების თანამიმდევრობასა და სწავლის მიზნებისა და შედეგების აღრევას. მისი თქმით, ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო 9 რეკომენდაცია და 12 რჩევა. პროგრამამ ორჯერ გაიარა გარე შეფასება უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევათა უმრავლესობა შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:25

დასრულების დრო: 15:33

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27<sup>ბ</sup> მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 15:35 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატია რატი



რ. რატიანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

